განხილულია სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის პედაგოგიური საბჭოს 2021 წლის 1 სექტემბრის სხდომაზე, ოქმიN1

დამტკიცებულია სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის დირექტორის 2021 წლის 1 სექტემბრის №----------ბრძანებით

(ხელმოწერა) გ.ა.

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისი

სადამრიგებლო პროგრამა

1. 2021-2022 სასწავლო წელს ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. დამრიგებელი არის ამავე სკოლის პედაგოგი.

2. დამრიგებლის მუშაობის მიზანია,

დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში; დამრიგებელი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უნდა უვითარებდეს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარებოდეს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში.

3. დამრიგებლის მოვალეობებია:

ა) გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);

ბ) რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი დაწყებით საფეხურზე არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, საბაზო-საშუალო საფეხურზე არანაკლებ თვეში ერთხელ . სადამრიგებლო საათის მიზანია მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს შემდეგ მიმართულებებზე:

ბ.ა) პიროვნული და მორალური განვითარება;

ბ.ბ) გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება;

ბ.გ) მეწარმეობის უნარების განვითარება;

ბ.დ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;

ბ.ე) უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია;

ბ.ვ) მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლება;

ბ.ზ) თვალსაწიერის გაფართოება.

ბ1) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიმართულებების ფარგლებში დაწყებით კლასებში (I-IV კლასები) არანაკლებ კვირაში ერთხელ ჩატარდება კითხვის საათი, რომელიც ორიენტირებული იქნება წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერებაზე შემდეგი მეთოდებით:

ბ1.ა) კითხვის ტექნიკის გაძლიერებით;

ბ1.ბ) წაკითხულის განხილვა-გააზრებით;

ბ1.გ) ანალიზის უნარის განვითარებით;

ბ1.დ) მსჯელობის უნარის განვითარებით;

ბ1.ე) პრეზენტაციის უნარის განვითარებით;

ბ1.ვ) შემოქმედებითი უნარების განვითარებით და სხვ.

ბ2) საბაზო და საშუალო საფეხურებზე, კერძოდ, IX კლასსა და XI ან XII კლასში ჩატარდება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები,მოსწავლებთან წინასწარ დამუშავებული საკონფერენციო თემებით წარსდგებიან სხვადასხვა სფეროში მომუშავე მშობლები,რომლებიც გამოირჩევიან პროფესიონალიზმით და კომპეტენტურობით.

ბ3) X კლასში სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელი იმუშავებს ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების თემატიკაზე,განახორციელებს შესაბამის პროექტებს მოსწავლეების ჩართულობით

გ) დაეხმარება მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში,საჭიროების შემთხვევაში ექნება ინდივიდუალური საუბრები მათთან

დ) იქნება შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში;

ე) რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ მაინც) მიაწოდებს მშობელს ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. ინდივიდუალურად მიაწვდის ინფორმაციას მშობელს მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ

ვ) საჭიროების შემთხვევაში, შეხვდება დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდებს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაციას;

ზ) გაიგებს მოსწავლის მიერ სკოლის გაცდენის მიზეზს,რომელსაც აღრიცხავს სადამრიგებლო ჯურნალში,ინფორმაციას მიაწოდებს დირექციას და მშობელს

თ) V-XII კლასებისთვის წელიწადში მინიმუმ ერთხელ (სასწავლო წლის ბოლოს) გააკეთებს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზს მასწავლებლებისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და დაწერს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათებას. სადაც აღწერილი იქნება მოსწავლის ძლიერი მხარეები, მისი წარმატებები როგორც აკადემიური, ასევე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მოსწავლის მონაწილეობა წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში; დახასიათებაში ასევე გაანალიზებული იქნება ყველა ის საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია (ან არსებითია) მოსწავლის კოგნიტური (შემეცნებითი), ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის(აღნიშნულ საკითხთა გათვალისწინება სასარგებლო იქნება

მოსწავლისათვის), ეს ინფორმაცია მიეწოდება მშობელს კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმით (პირადი შეხვედრისას, ელექტრონული ფოსტის საშუალებით და სხვ.).

ი) მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, დამრიგებელი მოამზადებს ინფორმაციას მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად.

კ) მოახდენს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების დასწრების ყოველდღიურ აღრიცხვა/შემოწმებას და მოსწავლეთა დასწრების შესახებ ინფორმაციას ასახვას სადამრიგებლო ჟურნალში

ლ) მოსწავლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში გაიგოს გამოუცხადებლობის მიზეზი და აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს სკოლის ადმინისტრაციას;

- ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, უზრუნველყოს უსაფრთხოების ნორმების დაცვა სკოლაში (მორიგეობის დაცვა, დისტანცია მოსწავლეებს შორის, საკლასო ოთახების განიავება და ა.შ);
- ვირუსის პრევენციის მიზნით, შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებსა და მშობლებს;

მ) ევალება ამ გეგმით და სკოლის შინაგანაწესით დადგენილი სხვა ვალდებულებებისა და პროცედურების შესრულება.

4. დამრიგებლის მუშაობა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

ა) სრულფასოვანი აღზრდა - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული იქნება პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;

ბ) მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა - მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

გ) მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარება - დამრიგებელმა მოსწავლეთა ჩართულობის ხელშესაწყობად საშუალებას მისცემს მათ მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. მაქსიმალურად გაითვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები;

დ) თანამშრომლობის პრინციპი – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან დაემყარება თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.

ე) დამრიგებელი მუშაობის პროცესში გამოიყენებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ შემუშავებული და/ან რეკომენდებული შესაბამისი მეთოდური სახელმძღვანელოებს და გზამკვლევებს.

I-ა კლასის დამრიგებელი	თამარ ვეფხვაძე
I -ბ კლასის დამრიგებელი	ეკა ჯიმშიაშვილი
II-ა კლასის დამრიგებელი	ვერა ნებიერიძე
II-ბ კლასის დამრიგებელი	სალომე კაკაურიძე
III-ა კლასის დამრიგებელი	ლანა ჩუბინიძე

III-ბ კლასის დამრიგებელი	შორენა მუმლაძე
IV-ა კლასის დამრიგებელი	თეა გურაბანიძე
IV-ბ კლასის დამრიგებელი	ქეთი ყიფიანი
V კლასის დამრიგებელი	მარო ავალიშვილი
VI-ა კლასის დამრიგებელი	ეკატერინე ჩაჩიბაია
VI-ბ კლასის დამრიგებელი	თამარ მალაღურაძე
VII კლასის დამრიგებელი	ნატო სამხარაძე
VIII ა კლასის დამრიგებელი	თეა მიქაბერიძე
VIII ბ კლასის დამრიგებელი	თეა სამხარაძე
IX კლასის დამრიგებელი	მარინა კაპანაძე
X კლასის დამრიგებელი	ნანა გიორგაძე
XI კლასის დამრიგებელი	ნინო როინიშვილი
XII კლასის დამრიგებელი	მარეხი ფორჩხიძე